

შპს „არეა“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

შპს „არეა“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	9-14

შპს „არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

შპს არეა /426112716/			
<i>ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის</i>			
ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებ ო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	237 013	326 386	540 614
სავაჭრო მოთხოვნები	787 023	89 902	7 809
გადახდილი ავანსები და დარიცხ. მისაღები შემოს.	106 627	423 270	12 446
მარაგები	2 834 341	1 380 038	1 996 650
სხვა მიმდინარე აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	490 378	497 001	215 273
სხვა გრძელვადიანი აქტივები			297 096
სულ აქტივები	4 455 382	2 716 597	3 069 888
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	104 432	36 007	64 064
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	27 708	113 569	84 484
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	379 070	368 566	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4 304 765	1 565 543	4 105 899
სხვა ვალდებულებები	944 970	1 348 066	704 737
სულ ვალდებულებები	5 760 945	3 431 751	4 959 184
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1 305 563)	(715 154)	(1 889 296)
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	(1 305 563)	(715 154)	(1 889 296)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4 455 382	2 716 597	3 069 888

დირექტორი
როსტომი გოგოლაძე



შპს „არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018
ნეტო ამონაგები	3 368 288	4 758 321
საქონლის გაყიდვიდან	3 299 359	4 691 033
მომსახურების გაწევიდან	68 929	25 311
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		41 977
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1 128 734	1 565 927
საწყისი მარაგები	1 467 616	1 996 650
მარაგების შესყიდვა	2 495 459	1 036 893
საბოლოო მარაგები	2 834 341	1 467 616
საერთო მოგება	2 239 554	3 192 394
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 842 903)	(1 307 719)
ცვეთა და ამორტიზაცია	(31 016)	(24 427)
საპროცენტო შემოსავალი:	14 000	-
საპროცენტო ხარჯი :	(447 931)	(237 895)
ოჯარის ხარჯი	(16 949)	(2 119)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(327 081)	(326 204)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2 651 880)	(1 898 364)
საოპერაციო მოგება	(412 326)	1 294 030
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(178 083)	(119 888)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(590 409)	1 174 142
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(715 154)	(1 889 296)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(590 409)	1 174 142
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(1 305 563)	(715 154)

დირექტორი
როსტომი გოგოლაძე



შპს „არეა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა	საანგარიშგებ ო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგე ბო პერიოდი 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(7 793 656)	(6 517 411)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	7 704 283	6 303 183
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(89 373)	(214 228)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	326 386	540 614
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	237 013	326 386

დირექტორი
 როსტომი გოგოლაძე



შპს „არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2017
---------------------------------	--	--	---

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	237 013	326 386	540 614
სავაჭრო მოთხოვნები	787 023	89 902	7 809
გადახდილი ავანსები და დარიცხ. მისაღები შემოს.	106 627	423 270	12 446
მარაგები	2 834 341	1 380 038	1 996 650
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება	2 834 341	1 380 038	1 996 650
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	490 378	497 001	215 273
სხვა გრძელვადიანი აქტივები			297 096
სულ აქტივები	4 455 382	2 716 597	3 069 888

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	104 432	36 007	64 064
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	27 708	113 569	84 484
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	379 070	368 566	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4 304 765	1 565 543	4 105 899
სხვა ვალდებულებები	944 970	1 348 066	704 737
სულ ვალდებულებები	5 760 945	3 431 751	4 959 184
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1 305 563)	(715 154)	(1 889 296)
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	(1 305 563)	(715 154)	(1 889 296)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4 455 382	2 716 597	3 069 888

შპს „არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018
ნეტო ამონაგები	3 368 288	4 758 321
საქონლის გაყიდვიდან	3 299 359	4 691 033
მომსახურების გაწევიდან	68 929	25 311
სხვა		41 977
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1 467 616	1 565 927
საწყისი მარაგები	1 467 616	1 996 650
მარაგების შესყიდვა	2495459	1 036 893
საბოლოო მარაგები	2834341	1 467 616
საერთო მოგება	2239554	3 192 394
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 842 903)	(1 307 719)
ცვეთა და ამორტიზაცია	(31 016)	(24 427)
საპროცენტო შემოსავალი:	14 000	-
საპროცენტო ხარჯი :	(447 931)	(237 895)
იჯარის ხარჯი	(16 949)	(2 119)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(327 081)	(326 204)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2 651 880)	(1 898 364)
საოპერაციო მოგება	(751 208)	1 294 030
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(178 083)	(119 888)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(590 409)	1 174 142
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(715 154)	(1 889 296)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(590 409)	1 174 142
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(1 305 563)	(715 154)

შპს „არეა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა	საანგარიშგებო პერიოდი 2019	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(7 793 656)	(6 517 411)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	7 704 283	6 303 183
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(89 373)	(214 228)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	326 386	540 614
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	237 013	326 386

შპს „არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „არეა“ /4026112716/ მდებარეობს ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში, დ. აღმაშენებლის ქ. N 98-ში.

კომპანია დააფუძნა 2015 წლის 27 ოქტომბერს ლაშა უგრელიძემ, 2016 წლის 19 სექტემბერს დამფუძნებელის მიერ მოხდა მფლობელობის გადაცემა ავთანდილ უგრელიძესა და დავით უგრელიძეზე 50-50 პროცენტის თანაფარდობით.

პარტნიორთა გადაწყვეტილებით 2018 წლის 24 აპრილიდან კომპანიას დაენიშნა მეორე დირექტორი როსტომ გოგოლაძე.

2018 წლის 27 აპრილს ერთ-ერთი პარტნიორის ავთანდილ უგრელიძის მიერ გასხვისდა კუთვნილი (50%) წილი ლაშა ირდანიშვილზე.

ამგვარად ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის შპს არეას 50/50 პროცენტის წილს ფლობენ დავით უგრელიძე და ლაშა ირდანიშვილი, ხოლო დირექტორები არიან ავთანდილ უგრელიძე და როსტომ გოგოლაძე.

შპს არეას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობა. დაფუძნებიდან დღემდე მის მიერ აშენებულია სამი სასტუმროს ტიპის კომპლექსი, რომელთა უმრავლესობას უკვე ჰყავს კერძო მესაკუთრე. სასტუმროს კომპლექსი ფუნქციონირებს „არეა პარკი“-ს სახელით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო

პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

კომპანია ფლობს ანგარიშსწორების ანგარიშებს რამოდენიმე ბანკში, სადაც 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით განთავსებული აქვს ფულადი ნაშთი 326386,13 ლარის ოდენობით.

შპს “არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დებიტორული დავალიანება წარმოიქმნება რეალიზაციისას რომლის თითქმის სრული მოცულობა შედგება რეალიზებული საცხოვრებელი ფართის ღირებულებისაგან. დებიტორული დავალიანება ასევე წარმოიქმნება მოზინადრეთა მიმართ ყოველთვიურად გაწეული და დარიცხული მომსახურების ღირებულებისაგან.

(გ) გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

(დ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული მომსახურებისათვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებებისა და დღგ-ს გარეშე. ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება.

შპს “არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი შემოსავალი მიღებულია სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი ფართის რეალიზაციისაგან, ხოლო მომსახურებიდან შემოსავალს შეადგენს კომპლექსიის სასტუმროს ტიპის ადმინისტრირების სანაცვლოდ მიღებული შემოსავლები, რომელიც მიიღება კერძო მფლობელობაში გადასული სასტუმროს ნომრების მფლობელთა მიერ წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული ყოველთვიური გადასახადისაგან.

საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავლები აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს. შემოსავალი არის საქონლის გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები თანხები უკანდაბრუნებული საქონლის, ფასდათმობისა და გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით (მაგ. დამატებული ღირებულების გადასახადი).

სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი ფართის რეალიზებას კომპანია ახდენს სხვადასხვა კონდიციით, მათ შორის ადგილი აქვს რეალიზაციას სრული საცხოვრებელი პირობით, ანუ საჭირო ავეჯით, ტექნიკით და საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით.

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

(გ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

საწარმო სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს

შპს “არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2019 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მოგების მოგების განაწილებას ადგილი არ ჰქონია

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალის გაზრდა/შემცირებაზე გადაწყვეტილებას იღებენ დამფუძნებლები.

გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდის გაცემას ადგილი არ ჰქონია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	ცვეთა არ ერიცხება
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
მანქანა-დანადგარები	5-15
შენობა-ნაგებობები და სხვა	5-20

შპს “არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს მასალებსა და ნედლეულს. მარაგის გაუფასურებაზე შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღით. თუ მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ნებისმიერი აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა

შპს “არეა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, მარაგების შეფასება, ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და გამოიცა 2020 წლის 28 სექტემბერს.